შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა №18;
ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა (ს/კ 01.10.18.006.221)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის
კონსტრუქციული ნაწილი

საექსპერტო შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2024 წელი

ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა №18;

ქ. თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა (ს/კ 01.10.18.006.221)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციული ნაწილი

საექსპერტო შეფასება

ექსპერტიზის მიზანი: პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალები:

1. არქიტექტურული-სამშენებლო ნაწილი;
2. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
4. შენობის კონსტრუქციული ანგარიში შესრულებული კომპლექსური პროგრამა Lira Sapr-ის გამოყენებით;

ყველა მასალა წარმოდგენილია ელექტრონულად.

გაფრთხილება

გაცნობილი ვარ ექსპერტის უფლება-მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გაცნობილი ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლს.

ექსპერტი შემსრულებელი:

ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი ზაურ სილაგაძე, სპეციალობით მუშაობის უწყვეტი სტაჟი 45 წელი.

კორექტირება ითვალისწინებს

1. -2.50 და 0.00 ნიშნულზე ნაწილობრივ გაზრდილია კოლონის კვეთები. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულია კოლონები 50X70 სმ. ფაქტიურად ადგილზე შესრულებულია 100X100 სმ; 140X90 სმ; 80X80 სმ; 95X95 სმ.

2. უმნიშვნელოდ შეცვლილია მანძილები ღერძებს შორის, კერძოდ:

ღერძები	მმ	ნაცვლად მმ
"1-2" ღერძი	6765	6650
"2-3" ღერძი	5840	6100
"3-4" ღერძი	4790	4900
"4-5" ღერძი	6655	6400
"5-6" ღერძი	4755	4800
"6-7" ღერძი	6095	6050
"8-9" ღერძი	6245	6150
"9-10" ღერძი	4750	4900
"10-11" ღერძი	6440	6400
"11-12" ღერძი	4760	4800
"12-13" ღერძი	6105	6050
"a-b" ღერძი	5400	5400
"b-c" ღერძი	5745	5500
"c-d" ღერძი	5230	5350
"d-e" ღერძი	5525	5650
"b'-c'" ღერძი	5485	5550
"c'-d'" ღერძი	5440	5350
"d'-e'" ღერძი	5475	5500

ორივე ბლოკის გაბარიტული ზომები ღერძებში დარჩა იგივე, მთავარია სვეტების კვეთები არ შემცირებულა.

კვლევითი ნაწილი

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია არქიტექტურული-გეგმარებითი გადაწყვეტისა და საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე. პროექტი შედგება ორი დამოუკიდებელი ბლოკისაგან. ბლოკი "1-7" და "a-e" ღერძებში გაბარიტული ზომებია 34.9X21.9 მ. "5-7" ღერძებს შორის მოცულობა გამოშვერილია 5.4 მ-ით. დანარჩენი გამოშვერები არის კონსოლური აივნების სახით ღერძებიდან 1.5 მ-ით. სართულიანობა 12 მიწისზედა და 1 მიწისქვეშა სართული. მიწისზედა სართულის სიმაღლეებია 3.3 მ. მიწისქვეშა სართულის სიმაღლეა 2.6 მ. სიმაღლე მიწის ზედაპირიდან სამანქანო განყოფილების ჩათვლით 42.60 მ.

ბლოკი "8-13" და "b/1-e/1" ღერძებში სწორკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით ღერძებში 28.3X16.4 მ. კონსოლური აივნების გამოშვერებით. 11 საცხოვრებელი სართული, ერთი მიწისქვეშა და ერთი ტექნიკური სართული.

საცხოვრებელი სართულის სიმაღლეები 3.3 მ. ტექნიკური სართული 5 მ. ანტრესოლით. მიწისქვეშა სართული 3 მ. სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 42.60 მ.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის თანახმად შენობა დაფუძნებულია ნაკლებადგამოფიტულ ძირითად ქანებზე. 1. ქვიშაქვა I კატეგორია, ხვედრითი წონა 2.61 გძ/სმ^3, R_0=480 კგძ/სმ^2, სეისმურობა 7 ბალი.

შენობის კონსტრუქციული ანგარიში შესრულებულია პროგრამა Lira Sapr 2017-ის განახლებული პროგრამით.

საანგარიშო მოდელი მიღებულია რკინაბეტონის სივრცითი კავშირებიანი ჩარჩო, რომლის კვეთები და მახასიათებლები პროექტისა და საანგარიშო მოდელის სიხისტეების მონაცემებით შემდეგია:

საძირკველი – რკინაბეტონის ფილა სისქით 50 სმ. და ლენტური h=1.5 მ. სისქით 100 სმ; ბეტონის კლასი 30, არმატურა A500C და A240;

სვეტები – მონოლითური რკინაბეტონი სხვადასხვა განიკვეთით 50X70 სმ; 100X100 სმ; 140X90 სმ; 80X80 სმ; 95X95 სმ. ბეტონის კლასი B25, არმატურა A500C და A240;

დიაფრაგმები – მონოლითური რკინაბეტონი სისქით 30 სმ. ბეტონის კლასი B25, არმატურა A500C და A240;

მიწისქვეშა ნაწილის გარე კედლები – მონოლითური რკინაბეტონი სისქით 30 სმ. ბეტონის კლასი B25, არმატურა A500C და A240;

გადახურვები – მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილა. წიბო რიგელების სახით კვეთით 50X50 სმ და 20X50 სმ ფილის სისქესთან ერთად. ბეტონის კლასი B25, არმატურა A500C და A240;

კედლების შევსება და ტიხრები – წვრილი საკედლე ბლოკი მოცულობითი წონით არაუმეტეს 1000 კგ/მ^3.

ფუძის საანგარიშო მონაცემებია - საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე.

გრუნტის სახეობა – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგელობა.

- სიმკვრივე 2.61 გძ/სმ^3;
- შიგა ხახუნის კუთხე 35^0;
- ხვედრითი შეჭიდულობა 0.02 ტძ/მ^2;
- დეფორმაციის მოდული 5000 ტძ/მ^2;

ანგარიშის შედეგები, დინამიური მაჩვენებლები, გადაადგილებები ნორმის ფარგლებშია.

მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავებულია მუშა ნახაზები შემდეგი თანმიმდევრობით: სამონტაჟო გეგმები ნიშნულების მიხედვით, ელემენტების მარკირებითა და ღერძებთან მიბმებით.

ასევე დამუშავებულია ყველა ელემენტი: კოლონები, რიგელები, დიაფრაგმები, კედლები, თავისი სპეციფიკაციებითა და მასალების ამოკრეფით.

ასევე ცალკე დამუშავებულია კვანძები და დეტალები, განმარტებითი ბარათი და მითითებები სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესებზე.

დასკვნა

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დინამიური მაჩვენებლები არ შეცვლილა, პროექტის კორექტირება გავლენას ვერ მოახდენს შენობის საერთო მდგრადობაზე და ექსპერტი რეკომენდაციას უწევს განხორციელებაზე.

კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.

დიპლომი

Г-I № 182323

ეს დიპლომი მიეცა სილაგაძე
ზაური ალიოზის ძეს
მასზე, რომ იგი 1971 წელს შევიდა
ვ.ი. ლენინის სახ. საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტში
და 1976 წელს დაამთავრა
პოლიტექნიკური ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1976 წ.
„22" ივნისის გადაწყვეტილებით
მას მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1980წ. „17" IV

სარეგისტრაციო № 4993-Сгр

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Г-I № 182323

Настоящий диплом выдан Силагадзе
Заури Алиозовичу
в том, что он в 1971 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1976 году окончил полный курс
политехнического института

по специальности
Промышленное и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „22" июня 1976 г.
Силагадзе З.А.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси „17" IV 1980 г.

Регистрационный № 4993-Сгр

Московская типография Гознака. 1976.

IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME

ზაურ

ZAUR

გვარი / LAST NAME

სილაგაძე

SILAGADZE

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მმ / M | 01003008527

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH

20.01.1951

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY

14.05.2029

ხელმოწერა / SIGNATURE



გარათის No / CARD No

18IE40012

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

წყალტუბო

TSKALTUBO

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

14.05.2019

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB.IDS 2018

სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184



IDGE018IE40012401003008527<<<<

5101201M2905143GE0<<<<<<<<<<<<8

SILAGADZE<<ZAUR<<<<<<<<<<<<<<

ზაურ სილაგაძე
(საპროექტო სამუშაოების გამოცდილება)

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფ. დიდგორი: (995 51)-14 79 80

დაბადების თარიღი: 2 იანვარი, 1951
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება:

1971 – 1976 ***საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.***
სამშენებლო ფაკულტეტი
ინჟინერ-მშენებლის სპეციალობა

სამუშაო გამოცდილება:

2/08/1976 – 15/02/1992 ***თბილისის ზონალური სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიეპი"***
ინჟინერ-კონსტრუქტორი
უფროსი ინჟინერი
ჯგუფის ხელმძღვანელი
პროექტის მთავარი ინჟინერი
პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

15/09/1989 – 15/01/1990 ***მივლინება კამბოჯის სახალხო რესპუბლიკაში, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები***

10/11/1999 – 24/03/2004 ***შპს "არქგეიზი"-ს მთავარი ინჟინერი***

- კოსტავას ქ. 47-ში აშენებული 16 სართულიანი საცხოვრებელი სახლისა და სასტუმრო ვარაზის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.
- ხორავას ქ. 4-ში 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

07/06/2005 – 12/05/2006 ***შპს "გიკსი"-ს მთავარი ინჟინერი***

- სააქციო საზოგადოება "ცოდნის" შენობაზე 1 სართულის დაშენების მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

10/07/2007 – 01/06/2010 ***შპს "გასნიკკომპანი"-ს მთავარი ინჟინერი***

- საცხოვრებელი სახლი დოლიძის ქუჩა №46-ში და ბალანჩივაძის ქუჩა №41-ში მთავარი კონსტრუქტორი და მშენებელი.

02/01/2007 – 16/07/2010 *შპს "პროექტი 21"*

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაკვეთით რუსთავის №6, გეგუთის №8 და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულების პროექტების მთავარი კონსტრუქტორი.

1/06/2009 – 2011 წ. *შპს "გონი 2009"*
მთავარი ინჟინერი
შ.პ.ს. „გუნსან ტრაფიქ ელექტრიკ ვე ინშაათ მუჰენდისლიკ სანაი თიჯარეთ ლიმიტედ შირქეთი"-ს ქვეკონტრაქტორი

- იმერეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

- კახეთის რეგიონში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასახლებული პუნქტების გადასახვევებთან ინდივიდუალური პროექტირების საინფორმაციო-საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები.

2010-2013 წლები *შპს "ერდო"*
მიწვეული სპეციალისტი კონტრაქტით,
ლაითურის სასჯელაღსრულების პროექტების
მთავარი კონსტრუქტორი (მიმდინარეობს მშენებლობა)
დოკუმენტაცია გრიფით საიდუმლო.

2011 წლიდან დღემდე *შპს "დიდგორი-2011"*
დამფუძნებელი და მთავარი კონსტრუქტორი
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მთავარი კონსტრუქტორი

2014 წელი *მძლეოსნობის ოლიმპიური კომპლექსის მთავარი კონსტრუქტორი*

2014 წლიდან დღემდე *შპს "ბინექს"*
მთავარი კონსტრუქტორი
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მთავარი კონსტრუქტორი

კომპიუტერი და ენები:

- კომპიუტერული უნარ-ჩვევები: MONOMAKH Sapr, LIRA Sapr (მომხმარებლის დონეზე)
- ენები: ქართული, რუსული (სრულყოფილად).